საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. მ. /სიითი N/
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.03.2022
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 020/22
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ვ.-ის მიმართ / სიითი N/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ვ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 9 მარტს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. ვ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის მიხედვით, გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა: მოსარჩელე ზ. ხ., რომლის ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი ზ. ვ., საქმეში ჩართულ ერთ-ერთ მესამე პირს წარმოადგენდა ადვოკატი ნ. შ., რომლის ინტერესებსაც იცავდა ადვოკატი ნ. მ. საქმეს თავდაპირველად განიხილავდა სხვა მოსამართლე, შემდგომ კი საქმე გადაეწერა მოსამართლე დ. პ.-ს.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზ. ხ.-ს და ადვოკატ ნ. შ.-ს შორის როგორც ყოფილ მეუღლეებს შორის დიდი ხანია ქონებრივი დავა მიმდინარეობს, თუმცა არ კმაყოფილდება ზ. ხ.-ის სარჩელები. ადვოკატ ნ. შ.-ის ქონებასთან დაკავშირებით, ზ. ხ.-ის სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

1.3 2022 წლის 25 იანვარს გორის რაიონულ სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადვოკატი ზ. ვ. ახდენდა ზეწოლას მოსამართლეზე, მისი საქმიდან აცილების მიზნით, თითქოს, იგი იყო მიკერძოებული, ნ. შ.-ის მეგობარი, რაც მომჩივანის განცხადებით მისი კლიენტის შეურაცხყოფაც იყო. ადვოკატმა ზ. ვ.-მა წარმოადგინა დოკუმენტი, რის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ მოსამართლის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებაზე დაიწყეს საჯარო რეესტრში საქმის წარმოება, სადაც განმცხადებელი და დაინტერესებული პირია ზ. ხ. და საჩივარი მიღებულია წარმოებაში თუმცა არ იკვეთება ზ. ხ-ის იურიდიული ინტერესები.

1.4 ადვოკატმა ზ. ვ.-მა მოსამართლეს განუცხადა, რომ სასამართლო შემადგენლობა არ იქნებოდა „ჯანსაღი ფსიქიკის“ თუ მის მიერ ჩამოთვლილი საკითხების გამო არ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა მოსამართლის აცილების შესახებ, რაც მომჩივანის განცხადებით, არამხოლოდ მოსამართლის, არამედ პროცესი მხარის შეურაცხყოფაც იყო. ადვოკატ ზ. ვ.-ის აღნიშნული ქმედება ემსახურებოდა მხოლოდ მოსამართლეზე ზეწოლას საქმის აცილების მიზნით.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული, უნდა სცოდნოდა ადვოკატ ზ. ვ.-ს, თუმცა მისი ქმედებები ემსახურებოდა კლიენტის შეცდომაში შეყვანას სასამართლოში სარჩელის წარდგენის დროს და არაკვალიფიციური კონსულტაციის გაწევას.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ზ. ვ.-სათვის ცნობილია, რომ ზ. ხ.-ს იურიდიული ინტერესი ვერ ექნება და არ შეიძლება ჰქონდეს მოსამართლე დ. პ.-ის ქონებაზე, ამ შემთხვევაშიც, მან არასათანადო კონსულტაციები გასწია. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა ზ. ვ.-მა ზ. ხ.-ის შეცდომაში შეყვანის მიზნით სასამართლო სხდომაზეც კი განაცხადა, რომ დ. პ.-ის მიმართ საჯარო რეესტრში შეტანილი საჩივარი საფუძვლიანი იყო. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ზ. ვ.-მა „მოატყუა“ თავისი კლიენტი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 24 მარტს და 19 აპრილს ადვოკატმა ზ. ვ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ამავე წლის 17 მაისს დისტანციურ რეჟიმში გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე მოსამართლე დ. პ.-ისთვის აცილების შუამდგომლობის განხილვისას მან მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: სასამართლო სხდომის ჩატარების დროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა წარმოება ხაშურში მდებარე დ. პ. საცხოვრებელი სახლზე მოსარჩელე ზ. ხ.-ის წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, სახლის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, ვინაიდან, შენობა აშენებული იყო მშენებლობის ნებართვის გარეშე. ამავე დროს, მიმდინარეობდა ზ. ხ.-ის საჩივრის განხილვა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში დ. პ.-ის კუთვნილ ზემოაღნიშნულ ერთადერთ საცხოვრებელ სახლზე უკანონო მშენებლობის განმახორციელებელი პირების გამოვლენა-დაჯარიმების მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა წარმოება დ. პ-ის დედის ხაშურში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმართ მოსარჩელე ზ. ხ.-ის წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის გაუქმების მოთხოვნით, რაც სრულად დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის მიერ.

2.2 ადვოკატის განცხადებით, დ. პ.-ისთვის ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომის ჩატარების დღისთვის ჯერ კიდევ დარჩენილი იყო რამდენიმე დღე მის მიერ ზ. ხ.-ის ადმინისტრაციულ საჩივარზე საკუთარი პოზიციის წარსადგენად.

2.3 ადვოკატის განმარტებით, რაც შეეხება „ჯანმრთელი ფსიქიკის“ თაობაზე მის განმარტებას, აღნიშნული სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მოსამართლემ მას მიუთითა, რომ ამგვარი ტერმინების მისთვის არ იყო, და სავარაუდოდ, აღნიშნულის თქმა სხვა მიზანს ემსახურებოდა, რის თაობაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ მას პირადად არ გულისხმობდა და ეს მხოლოდ იმ რთული მდგომარეობის ასახსნელად აღნიშნა, რაც საქმის განხილვას ეხებოდა. ადვოკატის განცხადებით, „ჯანსაღი/ჯანმრთელი ფსიქიკის სასამართლო შემადგენლობის“ შესახებ თავისი შინაარსით არის შეფასებითი მსჯელობა. სასამართლოს აღნიშნულ შემთხვევაში რაიმე სახის ადმინისტრაციული სახდელი ადვოკატის მიმართ არ გამოუყენებია.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან მან 1992 წელს ექსპლუატაციაში მისაღები აქტი მან მოიძია 2021 წელს და შესაბამისად, 2022 წელს მიმართა სასამართლოს. ადვოკატის განმარტებით, უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის განმარტებები იმის თაობაზე, რომ ის თავის კლიენტს „ხანდაზმული სარჩელების წარდგენაზე აქეზებს“

2.5 ადვოკატის განცხადებით, ადვოკატი ნ. მ. მხოლოდ ერთხელ ჰყავს ნანახი რამდენიმე წლის წინ, გორის გამგეობის შენობაში. ადვოკატის განმარტებით, ამა წლის 15 თებერვალს სარჩელი ზემოაღნიშნულ საქმეზე გაიხმეს, რის თაობაზეც ადვოკატი ნ. შ. არ უთითებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ზ. ვ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

3.2 ადვოკატმა ნ. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 9 მარტს. სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისადმი მომართვის კანონით დადგენილი 5 წლიანი ვადა (“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მისი მოდავე მხარის ადვოკატი ზ. ვ. და „ატყუებდა“ თავის კლიენტს, მათ შორის არ აცნობა იმის თაობაზე, რომ საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელი ხანდაზმული იყო და მას გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება; ამასთან, ადვოკატი ზ. ვ. მოსამართლეზე ახორციელებდა ზეწოლას, იმ მიზნით, რომ მას საქმის განხილვა აეცილებინა და განუცხადა, რომ სასამართლოს არსებული შემადგენლობის მიერ საქმის განხილვა არ იქნებოდა „ჯანსაღი ფსიქიკის“, რითიც მიაყენა შეურაცხყოფა.

5.2 საჩივარში წარმოდგენილი ერთ-ერთი პრეტენზია ეხება იმ გარემოებას, თუ რამდენად კვალიფიციურად გაუწია ადვოკატმა ზ. ვ.-მა საადვოკატო მომსახურება თავის კლიენტს, მათ შორის მომჩივანი სადავოდ ხდის ადვოკატის მიერ კლიენტის შეცდომაში შეყვანას, სასარჩელო მოთხოვნის საკითხზე ხანდაზმულობის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობას. აღნიშნულზე ადვოკატი ზ.

ვ. განმარტავს, რომ ის როგორც ადვოკატი არ მიიჩნევდა საქმეს ხანდაზმულად და უთითებს შესაბამის საფუძვლებს.

5.3 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიმართ მის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურების თაობაზე პრეტენზიის წარდგენის უფლებამოსილება აქვს მის კლიენტს, რომლის ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე ადვოკატის მიერ განხორციელებული სადავო ქმედებები შესაძლებელია შეფასდეს უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. რაც შეეხება, პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატი „ზეწოლას ახორციელებდა“ მოსამართლეზე და მათ შორის მის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო შეურაცხმყოფელი, კოლეგია აღნიშნავს, რომ კომისიაში წარმოდგენილი 2022 წლის 25 იანვრის გორის რაიონულ სასამარლოს სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით (საქმე №, მოსამართლე დ. პ.), ირკვევა, რომ ადვოკატმა სასამართლოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რომელსაც ეთიკის კომისიაში სადაოდ არ გაუხდია ადვოკატის მიერ ეთიკური სტანდარტის დაცვა.

5.4 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ვ.-ის მოდავე მხარის ადვოკატი არ არის უფლებამოსილი პირი, ვისაც ადვოკატის მიერ საჩივარში წარმოდგენილი სადავო ქმედებებით მიადგა უშუალო ზიანი და მისი უფლებების შესაძლო დარღვევა გამოიწვია.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“.

5.6 საჩივრის ავტორი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელი პირი, რაც შეუძლებელს ხდის ასეთ ვითარებაში კანონით დადგენილი წესით სამართლებრივი შედეგის დადგომას და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №020/22 ადვოკატ ზ. ვ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი /ინგა ნებიერიძე/